



**FORWARD  
FASTER**

**Forward Faster**

**სამოქმედო გზამკვლევი  
კლიმატის ცვლილების  
დასაძლევად**

## შესავალი

Forward Faster ინიციატივის სამოქმედო გზამკვლევი განკუთვნილია კომპანიებისთვის, რომლებიც იღებენ ან განიხილავენ კლიმატის ცვლილების შერბილების ვალდებულებების აღებას. მასში იხილავთ მიზნობრივ დეტალებს, მნიშვნელოვან განმარტებებს, პრაქტიკის მაგალითებს და ეფექტიანობის ძირითად მაჩვენებლებს (KPIs), იმ შუალედური მიზნების, რესურსებისა და შესაძლებლობების ჩათვლით, რომელთა გამოყენებაც შეუძლიათ კომპანიებს, რომლებიც 2030 წლის მიზნების მისაღწევად განსაზღვრავენ თავიანთ სტრატეგიას.

## კონტექსტი

გლობალური ემისიები კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მაღალ დონეზეა და კვლავ აგრძელებს ზრდას. დღეს, კლიმატის ცვლილება გავლენას ახდენს გლობალურ ეკონომიკაზე, მიწოდების ჯაჭვებსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე. კრიზისის წინა ხაზზე ყველაზე დაუცველი მხარე სწორედ მასახლეობაა. მაგრამ კარგი ამბავი ის არის, რომ ჯერ კიდევ გვაქვს დრო მოქმედებისთვის.

გეროს გლობალური შეთანხმება მოუწოდებს კომპანიებს, შეასრულონ თავიანთი როლი კლიმატის შერბილების გლობალურ, ამბიციურ ამოცანაში. კომპანიებმა უნდა გააძლიერონ ძალისხმევა დეკარბონიზაციისთვის, რათა მიაღწიონ ემისიების წმინდა ნულოვან დონეს არაუგვიანეს 2050 წლისა. ამ მიზნის მიღწევის წარმატებული მაგალითის საჩვენებლად, ყველა კომპანიამ უნდა გამოაქვეყნოს ყოვლისმომცველი გადასვლის გეგმა. ამავდროულად, მდგრადობის პრაქტიკაში, კომპანიებმა უნდა იხელმძღვანელონ უფლებებსა და პრინციპებზე დაფუძნებული მიდგომით და უზრუნველყონ, რომ შერბილებისა და ადაპტაციის ღონისძიებები კი არ გააღრმავებს უთანასწორობას, არამედ ხელს შეუწყობს კლიმატის საკითხების სამართალიან ინტეგრირებას გარდამავალი მექანიზმის მეშვეობით.

კერძო სექტორი არასოდეს ყოფილა უკეთესად აღჭურვილი კლიმატის ცვლილების საგანგებო სიტუაციებთან გამკლავებისთვის. მოქმედების დაჩქარების დრო დადგა.

## სათბურის აირის ემისიების ნულოვანი მაჩვენებლის მიღწევის მიზანი

**დაისახეთ მეცნიერებაზე დაფუძნებული კორპორაციული მიზნები წმინდა ნულოვანი ემისიის შესამცირებლად დედამიწის ტემპერატურის 1.5°C-მდე შენარჩუნების შესაბამისად, 2030 წლისთვის გლობალური ემისიების განახევრებისა და 2050 წლისთვის წმინდა ნულოვანი ემისიის მიღწევის მიზნით.**

## მიზნის მნიშვნელოვანი ტერმინებისა და მასში შემავალი ელემენტების განმარტება:

ტემპერატურის 1.5°C გრადუსით გაზრდის შეზღუდვის შესანარჩუნებლად, კომპანიებმა საჯაროდ უნდა დასახონ კლიმატის მეცნიერების უახლესი მონაცემების შესაბამისი გადამოწმებადი მიზნები, რომლებზეც ანგარიშგება არის გამჭვირვალე და ექვემდებარება მონიტორინგს. ამისთვის, ამ მოწოდების ფარგლებში **წმინდა ნულოვანი ემისიის ყველა კორპორაციული ვალდებულება და სამიზნე მაჩვენებელი უნდა იყოს წარმოდგენილი და მხარდაჭერილი მეცნიერებაზე დაფუძნებული მიზნების ინიციატივით (SBTi).** მეცნიერებაზე დაფუძნებული მიზნების ინიციატივის (SBTi) პოლიტიკის მიხედვით, წმინდა ნულოვანი ემისიის მიღწევის ვალდებულების აღების შემდეგ, კომპანიებს აქვთ 24 თვიანი ვადა, რათა წარადგინონ თავიანთი მიზნები მეცნიერებაზე დაფუძნებული მიზნების ინიციატივისთან ( SBTi).იმ კომპანიებმა, რომლებსაც აქვთ შესაძლებლობა, უფრო სწრაფად მიაღწიონ ემისიების შემცირების 50-პროცენტთან ნიშნულს 2030 წლისთვის და წმინდა ნულოვან დონეს 2050 წლისთვის, აუცილებლად უნდა იმოქმედონ ამ მიმართულებით.

მეცნიერებაზე დაფუძნებული მიზნების ინიციატივის (SBTi) წმინდა ნულოვანი სტანდარტი (**NET-ZERO STANDARD**) **კორპორაციულ წმინდა ნულოვან ემისიას განსაზღვრავს შემდეგნაირად:**

ყველა სამიზნე უნდა მოიცავდეს 1-ლი, მე-2 და მე-3 კატეგორიის ემისიას და მიზნად ისახავდეს ემისიების შემცირებას ნულამდე ან ნაშთი ემისიების დონემდე, რაც შეესაბამება გლობალურ ან სექტორულ დონეზე წმინდა ნულოვანი ემისიების მიღწევას ტემპერატურის 1.5°C-იანი ზრდის ფარგლებში.

მეცნიერებაზე დაფუძნებული მიზნების ინიციატივის (SBTi) სტანდარტი კომპანიებს ავალდებულებს, პრიორიტეტი მიანიჭონ ემისიების სწრაფ და მნიშვნელოვან შემცირებას მოკლევადიანი მიზნების მიღწევით და გრძელვადიანი მიზნების დასახვით, რათა მიაღწიონ წმინდა ნულოვანი ემისიის მაჩვენებელს არაუგვიანეს 2050 წლისა.

ნებისმიერი ნარჩენი/ნაშთი ემისიების მუდმივი ნეიტრალიზება წმინდა ნულოვანი ემისიების სამიზნე წელს, შემდგომ კი ატმოსფეროში გაჟონილი ნებისმიერი სათბურის აირის (GHG) ემისიის ნეიტრალიზება. ნახშირბადის ნებაყოფლობითი კრედიტები არ შეიძლება ჩაითვალოს შემცირების მიზნების მიღწევაში.

კომპანიებს მოუწოდებენ, მიზნების დასახვისას გულდასმით განიხილონ გაეროს მიერ მხარდაჭერილი 1.5C-თან დაკავშირებული წმინდა ნულოვანი სანდოობის ყველა კრიტერიუმი (მოხსენება „Integrity Matters“), რომელიც შექმნა გაეროს გენერალური მდივნის მაღალი დონის ექსპერტთა ყოფილმა ჯგუფმა არასახელმწიფო სუბიექტების წმინდა ნულოვანი ემისიების ვალდებულებების შესახებ (HLEG). კომპანიებმა უნდა იზრუნონ, რომ მათი მიზნები შეესაბამებოდეს კლიმატის ცვლილების სამთავრობათაშორისო პანელის (IPCC) სათბურის აირების ემისიების მოდელირებულ გზებს, რომლებიც უზღუდავენ ტემპერატურის 1.5°C-მდე მატებას გადაჭარბების გარეშე ან შეზღუდული გადაჭარბებით. ასევე იმაზე, რომ გლობალური ემისიები 2030 წლისთვის შემცირდეს მინიმუმ 50%-ით 2020 წლის დონესთან შედარებით და მიაღწიოს წმინდა ნულოვან ემისიებს 2050 წლისთვის ან უფრო ადრე.

ამჟამად, SBTi არის მისი მიზნობრივი ჩარჩოს გადახედვის პროცესში, რათა უზრუნველყოს სრული შესაბამისობა გაეროს მიერ მხარდაჭერილ სანდოობის კრიტერიუმებთან (UN-BACKED CREDIBILITY CRITERIA).

## კომპანიის ეფექტურობის ძირითადი ინდიკატორების და შუალედური მიზნების მაგალითები

მეცნიერებაზე დაფუძნებული მიზნების ინიციატივის წმინდა ნულოვანი სტანდარტის შესაბამისად, კომპანიებმა უნდა დაადგინონ უახლოეს დროში მისაღწევი, მეცნიერებაზე დაფუძნებული, შუალედური მიზნები. მას შემდეგ, რაც მიაღწევენ მოკლევადიან მიზნებს, კომპანიებმა უნდა დაადგინონ შემდეგი უახლოესი სამიზნეები გრძელვადიანი წმინდა ნულოვანი ემისიის მისაღწევად.

მეცნიერებაზე დაფუძნებულ, მოკლევადიან და გრძელვადიან წმინდა ნულოვან მიზნებს უნდა დაერთოს გადასვლის გეგმა, სადაც წარმოჩენილი იქნება ემისიების მყისიერი შემცირება და ამ მიზნებისა და წმინდა ნულოვანი ემისიების მისაღწევად გაწეული შესაბამისი კაპიტალური დანახარჯები.

## ანგარიშგება

კომპანიები, რომლებმაც აიღეს ვალდებულებები მიზნის მისაღწევად, ყოველწლიურად წარუდგენენ ანგარიშს გაეროს გლობალურ შეთანხმებას შემდეგ კითხვებზე პასუხის გაცემით: **კომუნიკაციის პროგრესის შესახებ (COP) - სავალდებულო კითხვა:**

- E4.1. რა მიზნები განისაზღვრა თითოეული გარემოსდაცვითი თემისთვის, რომლისთვისაც კომპანია ადგენს დროში გაწერილ მიზნებს/ამოცანებს?
- გარდა ამისა, მეცნიერებაზე დაფუძნებული მიზნების ინიციატივის (SBTi) ვალდებულებები და ნებართვები ექვემდებარება მონიტორინგს და ქვეყნდება მეცნიერებაზე დაფუძნებული მიზნების ინიციატივის ვებგვერდზე. ამჟამად, SBTi ანვითარებს გაზომვის, ანგარიშგებისა და ვერიფიკაციის (MRV) პროგრესის უახლეს ჩარჩოს (NEW PROGRESS FRAMEWORK).

## მოქმედებები, რომელთა საშუალებითაც კომპანიებს შეუძლიათ დააჩქარონ პროგრესი

- არსებული სექტორისთვის სპეციფიკური სახელმძღვანელო მითითებებისა და პროექტების გადახედა, რათა შეგროვდეს თქვენს ორგანიზაციასა და ინდუსტრიაზე საუკეთესოდ მორგებული ინფორმაცია.
- სათბურის აირების ემისიების სრული ინვენტარიზაციის/სკრინინგის ჩატარება, რომელიც მოიცავს კომპანიის მასშტაბით პირველი და მე-2 კატეგორიის ემისიებს და მთლიანი მასშტაბის მე-3 კატეგორიის ემისიებს ყველა წყაროსთვის, მინიმალური შეზღუდვის დაცვით თითოეული მე-3 კატეგორიისთვის, რომელიც მოცემულია სათბურის აირების მე-3 კატეგორიის სტანდარტის პროტოკოლში (GHG PROTOCOL'S SCOPE 3 STANDARD).
- მეცნიერებაზე დაფუძნებული მიზნების ინიციატივის (SBTi) რესურსებისა და ინსტრუმენტების გამოყენება მეცნიერებაზე დაფუძნებული მიზნების 5-საფეხურიანი პროცესის შესასრულებლად
- ჩართულობა ქსელებთან და მიწოდების ჯაჭვებთან და მათი წახალისება წმინდა ნულოვანი მიზნების დასახვად, მეცნიერებაზე დაფუძნებული მიზნების ინიციატივის (SBTi) მომწოდებელთა ჩართულობის გზამკვლევის (SUPPLIER ENGAGEMENT GUIDANCE) გამოყენებით.
- გადასვლის გეგმის შექმნა, რომელიც აჩვენებს, რამდენად წარმატებით შეასრულებთ თქვენს ვალდებულებებს თანაბარი და სამართლიანი გზით.
- საგარეო პოლიტიკისა და ჩართულობის ძალისხმევის შესაბამისობაში მოყვანა ემისიების შემცირების კორპორაციულ მიზნებთან და კლიმატთან დაკავშირებული პოზიტიური ქმედებების ლობირება

# სტრატეგიების განხორციელებისთვის საჭირო სასარგებლო რესურსები

მეცნიერებაზე დაფუძნებული მიზნების დასახვის საფუძვლები:

▪ ვალდებულების ასაღებად:

- [SBTI ვალდებულების წერილი](#)
- [შესაბამისობის პოლიტიკა](#)

▪ მიზნების დასახვისთვის:

- [მიზნების დასახვის გზამკვლევი](#) და [კორპორაციული სახელმძღვანელო](#) მიზნების დასახვის ეტაპობრივი ინსტრუქციებით
- [SBTI-ს წმინდა ნულოვანი ემისიების წამოწყების გზამკვლევი](#) ( NET-ZERO GETTING STARTED GUIDE) და [კორპორაციული წმინდა ნულოვანი სტანდარტი](#) (CORPORATE NET-ZERO STANDARD)
- [SBTI-ს მიზნის დასახვის ინსტრუმენტი](#) (TARGET SETTING TOOL) და [წმინდა ნულოვანი ინსტრუმენტი](#) (Net-ZERO TOOL) გრძელვადიანი SBTI-ს გამოსათვლელად წმინდა ნულოვანი (Net-Zero) სტანდარტის შესაბამისად

▪ მცირე და საშუალო ბიზნესისთვის (SME) რელევანტური რესურსები:

- [მიზნების დასახვის სისტემა](#)
- [ხშირად დასმული კითხვები](#)

▪ ფინანსური ინსტიტუტისთვის რელევანტური რესურსები:

- [მეცნიერებაზე დაფუძნებული ამოცანების და დადგენის ჩარჩო \(SBTS\)](#)
- [უახლოესი მიზნის წარდგენის ფორმა](#)
- [SBTS-ის დადგენის დამხმარე ტრენინგის მოდულები](#)

## სათბურის აირების ინვენტარიზაცია

- სათბურის აირების პროტოკოლის კორპორაციული სტანდარტი (CORPORATE STANDARD) სათბურის აირის ემისიების კორპორაციული ანგარიშგების გზების შესახებ
- სათბურის აირების პროტოკოლის [მე-3 კატეგორიის სტანდარტი](#) (SCOPE 3 STANDARD) და [მე-3 კატეგორიის შეფასების ინსტრუმენტი](#) (SCOPE 3 EVALUATOR TOOL)

## სახელმძღვანელო სანდო და ძლიერი გარდამავალი გეგმების შესაქმნელად

- [გაეროს მიერ მხარდაჭერილი სანდოობის კრიტერიუმებთან](#) (UN-BACKED CREDIBILITY CRITERIA) შესაბამისობა.
- გადასვლის ყოვლისშემძველი გეგმის შესაქმნელად მიმართეთ ამ [საკონტროლო სიას](#).

# გაეროს გლობალური შეთანხმების გეგმის განხორციელების სახელმძღვანელო პროგრამები

- **გაეროს გლობალური შეთანხმების აკადემია:** აკადემია არის გაეროს გლობალური შეთანხმების მთავარი სასწავლო პლატფორმა, რომელიც მდგრადობის სტრატეგიის სწრაფად განსახორციელებლად, ბიზნეს-ლიდერებსა და მოქმედ სპეციალისტებს აუცილებელ ცოდნასა და უნარებს აძლევს. საკუთარ თავზე მორგებული სწავლა ეხმარება კომპანიებს, გაეცნონ სამართლიანი გარდამავლობის თემას და მათთვის მისაღები ტემპით მოეზადონ მოქმედებისთვის.
- აკადემიის კურსები მეცნიერებაზე დაფუძნებული მიზნების დადგენისა და წმინდა ნულოვანი სტანდარტის (NET-ZERO STANDARD) შესახებ
- აკადემიის კურსების სერია მოქმედება **სათბურის აირის ემისიების შემცირებისთვის:** 1-ელი, მე-2 და მე-3 კატეგორიები, რომელიც მოიცავს სათბურის აირების აღრიცხვის საფუძვლებს, ემისიების გამოთვლის მეთოდებსა და ემისიების მართვას შემცირების სხვადასხვა აქტივობებით ემისიების მართვას.
- კლიმატის ამბიციის აქსელერაციის პროგრამა (**CLIMATE AMBITION ACCELERATOR**): გაეროს გლობალური შეთანხმება გვთავაზობს ექვსიდან ცხრა თვემდე დაჩქარებულ პროგრამებს, რომლებიც მიზნად ისახავს კომპანიების ქვეყნის შეცვლას ადგილობრივ დონეზე. კლიმატის ამბიციის აქსელერაციის პროგრამა (**Climate Ambition Accelerator**) ეხმარება კომპანიებს, მეცნიერებაზე დაყრდნობით დაადგინონ ემისიების შემცირების სამიზნე მაჩვენებლები, რაც შეესაბამება ტემპერატურის 1.5°C მოდელს და 2050 წლისთვის წმინდა ნულოვან ემისიებამდე მიყვანას. თქვენ შეგიძლიათ გაიგოთ, ჩართულია თუ არა თქვენი ქვეყნის ადგილობრივი ქსელი აქსელერატორში აქ.

- **Peer learning Group: მოქმედება კლიმატისთვის:** გაეროს გლობალური შეთანხმება გვთავაზობს Peer learning ჯგუფების შექმნას, რათა კომპანიებს ჰქონდეთ უსაფრთხო გარემო, თანამოაზრე პროფესიონალებთან მდგრადობის მნიშვნელოვან საკითხებზე საუკეთესო პრაქტიკისა და გამოწვევების გასაზიარებლად. გლობალური შეთანხმების ადგილობრივ ქსელებთან თანამშრომლობით, ეს ჯგუფები მონაწილეებს შეასწავლიან საუკეთესო გამოცდილებას კოორდინირებული სესიების, სასწავლო რესურსებისა და დისკუსიების მეშვეობით. აქვე(HERE) შეგიძლიათ შეიტყოთ, არის თუ არა თქვენი ქვეყნის ადგილობრივი ქსელი გაერთიანებული ზემოაღნიშნულ ჯგუფში.

## სამართლიანი გადასვლის მიზანი

**კონკრეტული ქმედებებით შეიტანეთ წვლილი სამართლიან გარდაქმნაში, რაც უპასუხებს კლიმატის ცვლილების შერბილებისა და ადაპტაციის ღონისძიებების სოციალურ ზემოქმედებას ისეთ დაინტერესებულ მხარეებთან პარტნიორობით, როგორცაა დასაქმებულები, პროფკავშირები, თემები და მომწოდებლები.**

### მიზნის მნიშვნელოვანი ტერმინებისა და ელემენტების განმარტება:

კლიმატის კრიზისთან გამკლავება მოითხოვს გადამწყვეტ და თანმიმდევრულ მოქმედებას, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს დასაქმებულებზე, თემებზე, ინდუსტრიებსა და რეგიონებზე. წმინდა ნულოვან ემისიებზე და კლიმატის მდგრადობაზე გადასვლა უნდა იქცეს სამართლიან გარდაქმნად, რაც ხელს შეუწყობს სოციალურ სამართლიანობას და მოაგვარებს სიღარიბესთან, უთანასწორობასთან და გენდერთან დაკავშირებულ გამოწვევებს

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (შსო) თანახმად, „სამართლიანი გარდაქმნა ნიშნავს ეკონომიკის გამწვანებას ისე, რომ ეს იყოს მაქსიმალურად სამართლიანი და ინკლუზიური ყველა დაინტერესებული მხარისთვის, შექმნას ღირსეული სამუშაო შესაძლებლობები ყველასთვის“. ეს დამოკიდებულია სოციალურ დიალოგზე, რომელიც დაეფუძნება სამართლიან პროცესს, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობასა და შრომისა და ადამიანის სხვა უფლებების საყოველთაო პატივისცემას. სამართლიანი გარდაქმნა არ არის დამოუკიდებელი პრაქტიკა; ეს არის პრინციპებზე დაფუძნებული მიდგომა კლიმატის ცვლილების შერბილებისა და ადაპტაციის ღონისძიებების მიმართ, რომელიც ნებისმიერი განვითარების ღონეზე მყოფი ქვეყნისთვისა და ყველა სექტორისთვის არის რელევანტური.

სამართლიანი გადასვლის ხედვა, ძირითადი შესაძლებლობები, გამოწვევები და სახელმძღვანელო პრინციპები ასახულია ILO -ს სამართლიანი გადასვლის სახელმძღვანელოში (ILO JUST TRANSITION GUIDELINES) მდგრადი გარემოს ეკონომიკებისა და საყოველთაო საზოგადოებისთვის. ბიზნესის მხარდაჭერა სამართლიანი გადასვლისთვის იწყება ბიზნესის პასუხისმგებლიანი ქცევისა და ადამიანისა და შრომითი უფლებების პატივისცემით, როგორც ეს მოცემულია გაეროს გლობალური შეთანხმების ათ პრინციპში, შსო-ს პრინციპების სამხრეთ დეკლარაციაში მრავალეროვნული საწარმოებისა და სოციალური პოლიტიკის შესახებ (MNE DECLARATION), გაეროს სახელმძღვანელო პრინციპებში მეწარმეობისა და ადამიანის უფლებების შესახებ (UNHRD), გაეროს სახელმძღვანელო პრინციპებში ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ (UNGPS) და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) სახელმძღვანელოში მრავალეროვნული საწარმოებისთვის (OECD GUIDELINES).

კომპანიებს ასევე მოეთხოვებათ სიღრმისეულად განიხილონ გაეროს მიერ მხარდაჭერილი 1.5 C-თან დაკავშირებული წმინდა ნულოვანი სანდოობის კრიტერიუმების (მოხსენება „კეთილსინდისიერების საკითხები“), (UN-BACKED 1.5C-ALIGNED NET ZERO CREDIBILITY CRITERIA (REPORT “INTEGRITY MATTERS”)) ყველა რეკომენდაცია, რომელიც შექმნილია გაეროს გენერალური მდივნის ყოფილი HLEG-ის მიერ, რამდენადაც ეს სამართლიან გარდაქმნას ეხება.



## ანგარიშგება

კომპანიები, რომლებმაც აიღეს ვალდებულებები მიზნის მისაღწევად, ყოველწლიურად გაეროს გლობალური შეთანხმებას წარუდგენენ ანგარიშსმდებელ კითხვებზე პასუხის გაცემით:

- რა სახის ქმედებები განახორციელა კომპანიამ საანგარიშო პერიოდში, რათა ხელი შეუწყოს სამართლიან გარდაქმნას და კლიმატის ცვლილების შერბილებისა და ადაპტაციის სოციალურ ზემოქმედებას? (მოცემულია პასუხების მრავალი ვარიანტი, გახსენით ტექსტის ველი დამატებითი ინფორმაციისთვის)

**ა) სათანადო შესწავლის (due diligence) პროცესის ფარგლებში, კომპანიამ განიხილა შესაბამისი ასპექტები, რომლებიც დაკავშირებულია სამართლიან გარდაქმნასთან**

[ღიან/არა] [გთხოვთ, მოგვაწოდოთ მეტი ინფორმაცია კითხვა G7-ში.]

**ბ) საანგარიშო პერიოდში სამართლიანი გარდამავალი გეგმის შესამუშავებლად კომპანია ურთიერთობდა შემხებლობაში მყოფ დაინტერესებულ მხარეებთან ან მათ ლეგიტიმურ წარმომადგენლებთან (მაგ., დასაქმებულებთან,**

**პროფკავშირებთან, თემებთან, მომწოდებლებთან და ა.შ., მათ შორის იმ დაინტერესებულ**

**მხარეებთან, ვისთვისაც უარყოფითი ზემოქმედების რისკი შეიძლება იყოს განსაკუთრებით მაღალი)**

[ღიან/არა] [გთხოვთ, მოგვაწოდოთ დამატებითი ინფორმაცია]

**გ) კომპანია თავის გეგმებში ითვალისწინებს გაეროს მკვიდრი მოსახლეობის უფლებების შესახებ დეკლარაციის (UNDRIP) დებულებებს, კერძოდ კი, თავისუფალი, წინასწარი და ინფორმირებული თანხმობის პრინციპს**

[ღიან/არა] [გთხოვთ, მოგვაწოდოთ დამატებითი ინფორმაცია.]

**დ) კომპანია ინვესტირებას ახორციელებს სამართლიან გარდაქმნაში, მათ შორის უნარებისა და ადამიანური რესურსების განვითარებაში, დასაქმების საკითხების ზემოქმედების შერბილებაში თანამშრომლების შენარჩუნების, გადამზადების, გადამწვანების, დამატებითი ეკონომიკური შესაძლებლობების შექმნისა და სოციალური დაცვის ხელშეწყობის გზით**

[ღიან/არა] [გთხოვთ, მოგვაწოდოთ დამატებითი ინფორმაცია]

**ე) კომპანიას აქვს დასახული მიზნები და თვალს ადევნებს სამართლიანი გადასვლისთვის საკუთარი გეგმის პროგრესს**

[ღიან/არა] [გთხოვთ, მოგვაწოდოთ დამატებითი ინფორმაცია E4, E4.1 და E4.2-ში]

## მოქმედებები კომპანიის პროგრესის დასაჩქარებლად

კლიმატის ცვლილება და კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ქმედება განსხვავებულად მოქმედებს გეოგრაფიაზე, ინდუსტრიაზე და ცალკეულ კომპანიებზე. სამართლიანი გადასვლის პრინციპები უნივერსალურია, მაგრამ კომპანიები და ბიზნეს სტრუქტურები მათ განსხვავებულად იყენებენ. სამართლიანი გადასვლის შესავალი: მოკლე ინფორმაცია ბიზნესისთვის (INTRODUCTION TO JUST TRANSITION: A BUSINESS BRIEF) გვთავაზობს ინფორმაციას კერძო სექტორის ცენტრალურ როლზე ყველასთვის სამართლიანი გადასვლის უზრუნველსაყოფად, რომელიც მოიცავს სამართლიანი გადასვლის საფუძველს და მნიშვნელობას, კომპანიების შვიდ პრიორიტეტულ ქმედებას, სამუშაოს შესაბამის სფეროებს და ბიზნესის მაგალითს, ისევე, როგორც საკვანძო ტერმინების ლექსიკონსა და რესურსების სახელმძღვანელოს. იხილეთ **ნახ. 4** (გვ. 10-11) და **ნახ. 6** (გვ. 13-15) დოკუმენტში "სამართლიანი გადასვლის შესავალი: მოკლე ინფორმაცია ბიზნესისთვის", შვიდი პრიორიტეტული მოქმედების შესახებ რეკომენდაციის მისაღებად, ისევე როგორც სამართლიანი გარდამავალი პრინციპების გამოყენების მაგალითების გასაცნობად სხვადასხვა ბიზნეს სფეროში.

## სტრატეგიების განხორციელებისთვის საჭირო სასარგებლო რესურსები

### დასაწყისისთვის:

- ზოგადი მითითებისთვის იხილეთ „სამართლიანი გადასვლის შესავალი: მოკლე ინფორმაცია ბიზნესისთვის“ (INTRODUCTION TO JUST TRANSITION: A BUSINESS BRIEF).
- უზრუნველყოფით შესაბამისობა გაეროს მხარდაჭერილ სანდოობის კრიტერიუმებთან (UN-BACKED CREDIBILITY CRITERIA)

### სიდრმისეული განხილვა - თემატური ინფორმაცია ბიზნესებისთვის

- კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის ღონისძიებების სოციალური ზემოქმედების გამოყენება "სამართლიანი გარდაქმნა კლიმატის ადაპტაციისთვის: მოკლე ინფორმაცია ბიზნესისთვის" (JUST TRANSITION FOR CLIMATE ADAPTATION: A BUSINESS BRIEF) დოკუმენტზე წვდომით.

- განახორციელეთ ინვესტიცია სამართლიან გარდაქმნაში, კომპანიებისა და ფინანსური ინსტიტუტების საფინანსო ფუნქციების შესახებ რეკომენდაციების საფუძველზე, რომელიც მოცემულია დოკუმენტში "სამართლიანი გადასვლის დაფინანსება: მოკლე ინფორმაცია" ([FINANCING A JUST TRANSITION: A BUSINESS BRIEF](#)).
- მიმოიხილეთ დოკუმენტი "სამართლიანი გარდაქმნა და განახლებადი ენერჯია: მოკლე ინფორმაცია" ([JUST TRANSITION AND RENEWABLE ENERGY: A BUSINESS BRIEF](#)).
- მიმოიხილეთ დოკუმენტი "სამართლიანი გარდაქმნა მიწოდების ჯაჭვებში: მოკლე ინფორმაცია" ([JUST TRANSITION IN SUPPLY CHAINS: A BUSINESS BRIEF](#)).

#### ▪ სახელმძღვანელოები და რესურსები

- სამართლიანი გადასვლის საერთაშორისოდ შეთანხმებული სახელმძღვანელო პრინციპისთვის იხილეთ შსო-ს გზამკვლევი ეკოლოგიურად მდგრად ეკონომიკასა და საყოველთაო საზოგადოებაზე სამართლიანი გადასვლისათვის ([GUIDELINES FOR A JUST TRANSITION TOWARDS ENVIRONMENTALLY SUSTAINABLE ECONOMIES AND SOCIETIES FOR ALL](#)).
- ინდუსტრიის მდგრადობისთვის, იხილეთ Maritime Just Transition Task Force-ის შექმნილი საზღვაო სამართლიანი გადასვლის ანალიზი ზღვოსნობისთვის ([MAPPING A MARITIME JUST TRANSITION FOR SEAFARERS](#)), რომელიც ადგენს საკვანძო რეკომენდაციებს გადაზიდვის ინდუსტრიისთვის, რათა უზრუნველყოს სამართლიანი გარდაქმნა საზღვაო სამუშაო ძალისთვის.
- ფუნდამენტური რესურსისთვის, რომელიც ასახავს ბიზნეს-ქმედებებს სამართლიანი გადასვლის პერიოდში, იხილეთ Just Transition Center (სამართლიანი გადასვლის ცენტრი) და B Team-ის [JUST TRANSITION: A BUSINESS GUIDE](#) (სამართლიანი გარდაქმნა: ბიზნესის გზამკვლევი)
- კომპანიების სამართლიანი გადასვლის ინდიკატორების მიმოხილვისთვის იხილეთ [WORLD Benchmarking ALLIANCE's JUST Transition](#) ინდიკატორები.

## გაეროს გლობალური შეთანხმების გეგმის განხორციელების სახელმძღვანელო პროგრამები

- **გაეროს გლობალური შეთანხმების აკადემია:** აკადემია არის გაეროს გლობალური შეთანხმების მთავარი სასწავლო პლატფორმა, რომელიც, მდგრადობის სტრატეგიის სწრაფად განსახორციელებლად, ბიზნეს-ლიდერებსა და მოქმედ სპეციალისტებს აუცილებელ ცოდნასა და უნარებს აძლევს. თვითსწავლებადი მოდელი უზრუნველყოფს კომპანიებს, გაეცნონ სამართლიანი გადასვლის თემას და მათთვის მისაღები ტემპით მოემზადონ მოქმედებისთვის.

#### • სამართლიანი გადასვლის შესავალი:

- ცვლილებების სესია [SHARAN BURROW](#)-თან და [SOLANGE RIBEIRO](#)-სთან
- ელექტრონული სწავლების კურსი სამართლიანი გადასვლის შესახებ

#### • ადამიანის უფლებათა სათანადო შესწავლა (Human Rights Due Diligence)

გაეროს გლობალური შეთანხმება გთავაზობთ Peer Learning ჯგუფების შექმნას, რათა კომპანიებს ჰქონდეთ უსაფრთხო სივრცე, თანამოაზრე პროფესიონალებთან მდგრადობის მნიშვნელოვან საკითხებზე საუკეთესო პრაქტიკისა და გამოწვევების გასაზიარებლად. გლობალური შეთანხმების ადგილობრივ ქსელებთან თანამშრომლობით, ეს ჯგუფები მონაწილეებს შეასწავლიან საუკეთესო გამოცდილებას კოორდინირებული სესიების, სასწავლო რესურსებისა და დისკუსიების მეშვეობით. აქვე ([HERE](#)) შეგიძლიათ შეიტყუთ, არის თუ არა თქვენი ადგილობრივი ქსელი გაერთიანებული მოცემულ ჯგუფში. თქვენ ასევე შეგიძლიათ მოიძიოთ მეტი ინფორმაცია გადაზიდვისა და სამართლიანი გადასვლის საკითხებზე გლობალური ინდუსტრიის Peer learning ჯგუფის შესახებ აქ ([HERE](#)).

## შესაძლებლობების გარემო

მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) მისაღწევად მოქმედებების გასაფართოებლად, კომპანიებს შეუძლიათ წახალისონ თავიანთი მთავრობები, განახორციელონ პოლიტიკა, რომელიც მხარს დაუჭერს ამბიციური მიზნების მიღწევას Forward Faster ინიციატივის ფარგლებში და უზრუნველყოფს სიცხადესა და ნდობას, რაც საჭიროა შემდგომი ინვესტიციების წახალისებისთვის.

კერძო სექტორმა უნდა აიღოს ლიდერობა ყველა დაინტერესებულ მხარესთან, განსაკუთრებით მთავრობებთან, პარტნიორობით. კერძოდ, საშუალო და დიდი ზომის საბაზრო ღირებულების მქონე კომპანიები უნდა იყვნენ კლიმატის მოქმედებისა და ადვოკატირების ავანგარდში. მცირე და საშუალო საწარმოებს (SMEs) ასევე აქვთ მნიშვნელოვანი როლი, რადგან ისინი არიან მნიშვნელოვანი ადგილობრივი აქტორები საკუთარ თემებთან ანლო კავშირებით.

მთავრობებსა და ბიზნესს შორის ურთიერთობა გადამწყვეტია კლიმატის დღის წესრიგის განვითარებისთვის, რადგან ამბიციურმა კორპორატიულმა და სამთავრობო ქმედებებმა შეიძლება გააძლიერონ ერთმანეთი ისე, რომ ხელი შეეწყოს კლიმატის პოლიტიკის აღსრულებასა და გაიზარდოს ინვესტიციები წმინდა ნულოვანი ემისიების მისაღწევად - პოზიტიური ამბიციების ჯაჭვის შექმნით.

პროგრესისთვის მნიშვნელოვანია ნებაყოფლობითი ვალდებულებები წმინდა ნულოვანი დონისა და სამართლიანი გადასვლის მისაღწევად. ამ ქმედებების გარდა, კომპანიებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მთელი მათი გავლენა ხელს უწყობდეს პრობლემის გადაჭრას და არ აფერხებდეს მას. როგორც „ეთილსინდისიერების საკითხებში“ აღინიშნა, წმინდა ნულოვანი პოლიტიკის ამბიციური და მომავალზე ორიენტირებული აქტიური ხელშეწყობა ყველა ქვეყანასა და ინდუსტრიულ ჯგუფში, რომელშიც კომპანიები მუშაობენ, ხელს უწყობს მთავრობის პოზიტიურ ქმედებებს კლიმატთან დაკავშირებით. უფრო მეტიც, ძლიერი სტანდარტების შესაქმნელად მთავრობებთან მუშაობით, კლიმატის ცვლილების არასაჯარო აქტორებს შეუძლიათ შექმნან თანაბარი პირობები ამბიციური, წმინდა ნულოვანი ვალდებულებებისთვის, რათა კიდევ უფრო შეამცირონ სამართლიანი გარდაქმნის რისკი და მაქსიმალურად გაზარდონ ეკონომიკური სარგებელი მკაცრი წმინდა ნულოვანი შესაბამისობისგან.

კერძო სექტორმა საკუთარი საგარეო პოლიტიკა და ჩართულობის ძალისხმევა, მათ შორის სავაჭრო ასოციაციაში წევრობა, უნდა შეესაბამოს 2030 წლისთვის გლობალური ემისიების მინიმუმ 50%-ით შემცირებისა და 2050 წლისთვის წმინდა ნულოვანი დონის მიღწევის მიზანს. ეს გულისხმობს შემდეგს:

- კონკრეტული პოლიტიკისა და რეგულაციების ლობირება, რომელიც კომპანიებს დასჭირდებათ ემისიების შესამცირებლად 1.5°C სცენარის შესაბამისად და მათი ასახვა კლიმატის ეროვნული გეგმების მომდევნო ციკლში ან ეროვნულ დონეზე განსაზღვრულ წვლილში (NDCs). კომუნიკაციებში უნდა იყოს მითითებული ემისიების პოტენციური შემცირების მაჩვენებელი, თუ მითითებული პოლიტიკა და რეგულაციები მიღებულია მთავრობებისა და იურისდიქციების მიერ.
- (სავაჭრო) ასოციაციების წახალისება კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ მოქმედების ადვოკატირებისთვის და ამ პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში, ესკალაციის სტრატეგიის არსებობა, რომელიც ასევე მოიცავს ასოციაციის დატოვების შესაძლებლობას, თუ აუცილებელი ცვლილებები არ განხორციელდება.
- ადვოკატირება ქვანახშირის მოპოვების გაგრძელების წინააღმდეგ და 2030 წლისთვის OECD ქვეყნებში, 2040 წლისთვის კი ყველა სხვა ქვეყანაში ქვანახშირის მოპოვების ეტაპობრივად გასაუქმებლად, ასევე ქვანახშირის ნებისმიერი საერთაშორისო საჯარო და კერძო დაფინანსების შეწყვეტისთვის.
- 2035 წლისთვის ყველა განვითარებულ ქვეყანაში და, 2040 წლისთვის, დანარჩენ მსოფლიოში, წმინდა „ნულოვანი“ დონის ელექტროენერჯის გამოუმუშავების ადვოკატირება.
- განახლებადი ენერჯის უპრეცედენტო მასშტაბით გამოყენებაში კომპანიების ჩართვა, წიაღისეული საწვავიდან სამართლიან ენერგეტიკულ გარდაქმნაზე სუბსიდიების გადატანისა და იმ პოლიტიკის ადვოკატირება, რომელიც უპირატესობას ანიჭებს ინვესტიციებს სუფთა ენერჯის კვლევაში, განვითარებასა და გამოყენებაში.
- ნავთობისა და გაზის არსებული მოპოვების გლობალური შემცირებისა და ნავთობისა და გაზის არსებული მარაგების ნებისმიერი გაფართოების შეჩერების ადვოკატირება.
- მოწოდება მთავრობებს, შეურთდნენ შსო-ს სამართლიანი გადასვლის სახელმძღვანელო პრინციპებს, როგორც მინიმალურ სტანდარტს, რათა მიაღწიონ პროგრესს ყველასთვის ღირსეული სამუშაოს უზრუნველსაყოფად.
- იმის უზრუნველყოფა, რომ მთავრობებმა არავინ მიატოვონ უყურადღებოდ და მიაღწიონ კლიმატის სამართლიანობას მოწყვლადი თემების დაცვით, დაფინანსებისა და ადაპტაციის შესაძლებლობების გაზრდით და საერთაშორისო ფინანსური სისტემის რეფორმის ხელშეწყობით.



## გაეროს გლობალური შეთანხმების ათი პრინციპი



### ადამიანის უფლებები

- 1 ბიზნესმა მხარი უნდა დაუჭიროს და პატივი სცეს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს;
- 2 ბიზნესი არ უნდა გახდეს ადამიანის უფლებების დარღვევის თანამონაწილე.



### შრომითი უფლებები

- 3 ბიზნესმა მხარი უნდა დაუჭიროს შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლებას და აღიაროს უფლება კოლექტიური მოლაპარაკებების შესახებ;
- 4 უნდა აღკვეთოს იძულებითი და სავალდებულო შრომის ყველა ფორმა;
- 5 ეფექტურად უნდა აღკვეთოს ბავშვთა შრომა;
- 6 უნდა გამოიცილოს დისკრიმინაცია და საქმეების ეტაპზე და თანამშრომლების მიმართ.



### გარემოს დაცვა

- 7 ბიზნესმა მხარი უნდა დაუჭიროს პრევენციულ მიდგომას გარემოს დაცვითი გამოწვევებისადმი;
- 8 საკუთარ თავზე უნდა აიღოს ინიციატივები და ხელი შეუწყოს გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის განვითარებას;
- 9 უნდა წახალისოს გარემოსთვის არამავნებელი ტექნოლოგიების განვითარება და გავრცელება.



### კორუფციასთან ბრძოლა

- 10 ბიზნესმა უნდა იმუშაოს კორუფციის ყველა ფორმის წინააღმდეგ, ფულის გამოძალვისა და მექრთამეობის ჩათვლით.

## გაეროს გლობალური შეთანხმების შესახებ

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სპეციალური ინიციატივა, რომელიც კომპანიებს მოუწოდებს, თავიანთი ოპერაციები და სტრატეგიები შესაბამისობაში მოიყვანონ ათ პრინციპთან, ადამიანის უფლებების, შრომის, გარემოს დაცვისა და კორუფციასთან ბრძოლის მიმართულებით. ჩვენი სურვილია, ათი პრინციპის დაცვით, დავაჩქაროთ და გავაფართოოთ ბიზნესის გლობალური კოლექტიური პარტნიორობა და ხელი შევუწყოთ მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებას პასუხისმგებლიანი კომპანიებისა და ეკოსისტემების მეშვეობით, რომლებიც ხელს შეუწყობენ ცვლილებებს. გაეროს გლობალური შეთანხმება, 160 ქვეყანასა და 62 ადგილობრივ ქსელში 18 000-ზე მეტი კომპანიისა და 3 800 არასამეწარმეო პირის გაწევრიანების შედეგად, მსოფლიოში ყველაზე დიდი კორპორაციული მდგრადობის ინიციატივაა - ერთი გლობალური შეთანხმება, რომელიც აერთიანებს ბიზნესს უკეთეს მსოფლიოსთვის.

მეტი ინფორმაციისთვის ესტუმრეთ ჩვენს ვებგვერდს [UNGLOBLCOMPACT.ORG](http://UNGLOBLCOMPACT.ORG) ან გამოიწერეთ [@globalcompact](https://twitter.com/globalcompact) სოციალურ მედიაში.



United Nations  
Global Compact

© 18 July 2023. United Nations Global Compact 685  
Third Avenue New York, NY 10017, USA